ხელშეკრულება (მონტაჟი)
№220

ქ. ზუგდიდი 30.07.2020წ.

ერთი მხრივ, სსიპ აფხაზეთის N12 საჯარო სკოლა (შემდგომში - დამკვეთი), წარმოდგენილი დირექტორის ნატო ბენდელიანის სახით, და საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში „დაცვა"), უფროსის კოტე მიქაიას სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი I. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დაცვის" მიერ დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების (შემდგომში - სამონტაჟო სამუშაოები) შესრულება „დამკვეთის" სსიპ აფხაზეთის N12 საჯარო სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში, (შემდგომში - ობიექტი), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N1 .

1.2. ხელშეკრულების მეორე მუხლის 2.1. პუნქტში გათვალისწინებული სამონტაჟო სამუშაოების თანხის გადახდისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, (შემდგომში - დანართი N1) განსაზღვრული მასალები გადადის "დამკვეთის" საკუთრებაში:

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი და პირობები

2.1 სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია N1 დანართით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ „დაცვის" საბანკო რეკვიზიტებზე.

2.2 ამ მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს N1 დანართის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2.3 „დაცვის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. "დაცვა" ვალდებულია:

3.1.1. შეასრულოს სამონტაჟო სამუშაოები საკუთარი ინვენტარითა და სამუშაო ძალებით;

3.1.2. უზრუნველყოს სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.1.3. გააცნოს "დამკვეთს" დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის ექსპლუატაციის ინსტრუქცია;

3.1.4. სამონტაჟო სამუშაოების დასრულების დღიდან 6 თვის (საგარანტიო ვადა) განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, თუ ისინი გამოწვეული არ არის „დამკვეთის" მიერ არასწორი ექსპლუატაციის შედეგად;

3.1.5. "დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების მეორე მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემთხვევაში, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება უზრუნველყოს 5 სამუშაო დღეში (თუ „ობიექტის" სპეციფიკა არ მოითხოვს დროის უფრო დიდ პერიოდს), რაზედაც მხარეთა მორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.2. "დამკვეთი" ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს „დაცვა" სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელი პირობებით;

3.2.2. სამონტაჟო სამუშაოები მიიღოს მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2.3. ხელშეკრულების მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გადაუხადოს „დაცვას" სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება.

3.2.4. ვალდებულია დაიცვას დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის წესები;

3.2.5. არ დაუშვას ობიექტის დაცვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაცვის ტექნიკური სამუალებების გადაკეთება ან შეკეთება „დაცვის" წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში „დაცვა" არ აგებს პასუხს „დამკვეთის" თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და მისგან გამოწვეულ ზიანზე.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ფორს-მაჟორში იგულისხმება სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ბლოკადა, აჯანყება, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემზღუდავი/ამკრძალავი სამართლებრივი აქტიები ან/და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც: ა) არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია; ბ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე; გ) არ არის გამოწვეული ან/და დაკავშირებული მხარეთა შეცდომებთან, დაუდევრობასა თუ გულგრილობასთან; დ) დაიწყო ან განვითარდა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და რომელთა წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ. ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესალოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

4.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება (ფორს-მაჟორი);

4.3 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება არა აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზზე;

4.4 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელშემშლელ გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები;

4.5 მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის წერილობითი დადასტურება, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში მითითებული თანხის 1 (ერთი) თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება ძალადაკარგულად.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიზეზით „დაცვა" 3 თვეზე მეტი ვადით, ვერ ახორციელებს სამონტაჟო სამუშაოებს, ხელშეკრულება ჩაითვლება ძალადაკარგულად.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მორის გაფორმებული N1 დანართი და მხარეთა შორის გაფორმებული სამონტაჟო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

6.3. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო 30 დღის ვადაში შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.4. სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება "დამკვეთთან", ხოლო ორი "დაცვასთან";

6.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება "დამკვეთთან", ხოლო ორი "დაცვასთან".

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დაცვა"	„დამკვეთი"
შსს სსიპ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო. ს/კ 211350928 ქ. ფოთი, მშვიდობის ქ.N6 . მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი N707117041.	სსიპ აფხაზეთის N12 საჯარო სკოლა . ს/კ N251723979. მისამართი: ქ.ზუგდიდი, ჯანამიას ქ. N1 . ბანკი: სს ლიბერთი ბანკი საბანკო ანგარიში: GE44LB0121114393257000 ბანკის კოდი:LBRTGE22 ტელ. N551094454
სამმართველოს უფროსი	დირექტორი
/კ.მიქაია/	/ ნ.ბენდელიანი/

Kote Mikaia

Digitally signed by Kote Mikaia
DN: cn=Kote Mikaia, serialNumber=62009002463, o=Citizen, c=GE
Date: 2020.07.30 15:55:08 +04'00'

დანართი №1

ხარჯთაღრიცხვა :

ხარჯთაღრიცხვის №
ხელშეკრულების თარიღი --- .20
ხელშეკრულების სტარტ.თარიღი- .20
ხელშეკრულების ვადა --- .20
ხელშეკრულების პროლონგაცია
დამკვეთის საინდეტიფიკაციო კოდი --251723979
დამკვეთის დასახელება --- სსიპ აფხაზეთის N12 საჯარო სკოლა
დამკვეთის მისამართი -- ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N1
ხელისმომწერი --- ნ.ბენდელიანი

მასალების ღირებულება --- 85.38
მონტაჟი ---- 00.00
რენტაბელობა ---- 00.00

დ. ღ. გ. ---- 15.37
ხელშეკრულების თანხა --- 100.75

კოდი	დასახელება	ზომის ერთეული	რ-ბა	საქონლის ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	საქონლის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
15484	აკუმულატორი 18ა/ს 12ვ	ცალი	1	85.0000	85.0000
14589	კვების ბლოკი 5ა/ს	ცალი	1	15.7500	15.7500
ჯამი					100.75

„ დამკვეთი"

დირექტორი

ნ.ბენდელიანი

„ მემსრულებელი "

რეგიონალური დაცვის პოლიციის
სამმართველოს უფროსი

კ.მიქაია

Kote Mikaia

Digitally signed by Kote Mikaia
DN: cn=Kote Mikaia, serialNumber=62009002463, o=Citizen, c=GE
Date: 2020.07.30 15:55:52 +04'00'